ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,

მერაბ ჭოხონელიძის ამომრჩევლებთან

საანგარიშო შეხვედრის

ოქმი N1

28 ნოემბერი, 2022 წელი, 15 საათი

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქ. ქუთაისი, აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო

უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზი

საანგარიშო შეხვედრას ესწრებოდნენ: აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, საზოგადოება ,, ბაღისკიდე''-ს წევრები. საანგარიშო შეხვედრა გამართა ქალაქ ქუთაისის საკრებულოს წევრმა ბატონმა მერაბ ჭოხონელიძემ. საანგარიშო შეხვედრაში მონაწილეობდნენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი გია ბასილაძე, იურიდიული კომისიის თავმჯდომარე ქალბატონი თეა ჯუღელი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბატონი ბაქარ მახარაძე, კულტურის, განათლების, ახალგაზდრობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე ბატონი ბექა ქებულაძე, ფრაქცია ,, ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ქალბატონი მარეხი ნიჟარაძე, ფრაქცია ,, ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე ბატონი დიმიტრი მხეიძე, საკრებულოს წევრი ქალბატონი მანანა ჩიხლაძე.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ბატონმა მერაბ ჭოხონელიძე და წარმოადგინა საანგარიშო შეხვედრის შემდეგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

საკრებულოს წევრის, მერაბ ჭოხონელიძის 2022 წლის (იანვარი-ნოემბერი) ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

ზემოაღნიშნულ საკითხზე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშით გამოვიდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი მერაბ ჭოხონელიძე. მან აღნიშნა: საკრებულოს წევრობის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების საფუძველზე, პატივი მერგო და გავხდი ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი პოლიტიკური პარტია "ქართული ოცნებოდან". ამასთან ამირჩიეს საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, აგრეთვე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიების წევრად. მუშაობის 1 წლის მანძილზე აქტიურად ვმონაწილეობდი ორივე კომისიის მუშაობაში, დავესწარი კომისიის ყველა და საკრებულოს 18 სხდომას.

აქტიური კომინიკაცია მაქვს მოსახლეობასთან, რომლებიც მომმართავენ არამარტო იმ საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით, რომლებიც შესაბამისი კომისიების კომპეტენციაშია, არამედ ისეთ საკიხებზეც, რომლებიც ეხება ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს. ჩემს მიერ დასმული იქნა არაერთი საკითხი აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, რომელთა მოგვარებაც აუცილებლი იყო. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ჩემი აქტიურობა მერიის იმ პროექტთან მიმართებაში, rac ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახების აბიტურიენტთა მომზადებას ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის. ვაგრძელებ მოსახლეობასთან შეხვედრებს მათი პრობლემების მოსაგვარებლად.“

გეგა ორჯონიკიძე: ,, შშმ პირებისთვის არის თუ არა მგზავრობა უფასო?“

მერაბ ჭოხონელიძე: ,,როგორც შშმ პირების, ასევე თანმხლები პირებისთვის არის 100%-ით შეღავათი ტრანსპორტის გადასახადის.“

გეგა ორჯონიკიძე: ,, შშმ პირებს უჭირთ მერიის მეორე სართულზე ასვლა, გთხოვთ მოგვეხმაროთ შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნაში.“

მერაბ ჭოხონელიძე: ,, მერიის სივრცის პირველ სართულზე არის გამოყოფილი ადგილი, სადაც შშმ პირებს შეუძლიათ შეხვდნენ საჯარო მოხელეები, რადგან ისინი არიან თქვენი პრობლემის მოსაგვარებლად.“

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბატონი მერაბ ჭოხონელიძის 2022 წლის (იანვარი-ნოემბერი) თერთმეტ თვეში გაწეული მუშაობის თაობაზე აღნიშნული საანგარიშო შეხვედრა დასრულდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრი

მერაბ ჭოხონელიძე